ხელიხელი 1. ფასი 1 შაური.

სამშობლო

ხუთშაბათი 13 აგვისტო 1915 წ.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მოქმედ. განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტუსტის ფრ. 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 152 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 152

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნომერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ცხოვრებ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ციწაძე.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ორშაბათიდან, 10, 11, 12 და 13 აგვისტოს ახალი პროგრამა
მხოლოდ მოზრდილთათვის.
სენსაციონ! შვილები ვანიუშინისა
ი. ი. ნიდენოვის პიესიდან, დრამა 6 ნაწილათ, მოზეკუხინის მონაწილეობით.
პატე ჟურნალი.
ანონსი: 14 აგვისტოს თეატრი დაკეტილია. 15 და 16 აგვისტოს, მხოლოდ ორი დღით ახალი პროგრამა; ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი.

მეუღლე მარიამ დავითის ასული გეგეჭკორისა, ელისაბედ კირილეს ასული, დარია ზასლის ასული, ანასტასია, ეთერი და აბელ დავითის ასულნი და ძე ელიოზიშვილები, ასონ, ბეგი და ავქსენტი იოსების ძენი გეგეჭკორები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 15 ამა მარიობისთვეს, გორის მაზრის სოფ. დგვრისში, წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვლებულის
ვასილ იოსების ძე გეგეჭკორის
სულის მოსახსენებლად. (1—ე.—1)

ანნა ლუარსაბის ასული ძავთარაძისა მომავალი ენკენისთვიდან, გენერლის ქუჩაზე, ნიკოლოზ ზაალის ძის ბადრიძის სახლში ხანის
ქალ-ვაჟთა მოსამზადებელ სკოლას ბალით.
სწავლის ფასი თვეში 10 მ. ბავშვების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტროლისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

ექიმი ზ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8 —2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ეოფილი ქალაქის თავის დ. ს. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარეიძოვი ქალაქ. საავთმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კერძო ექიმი მიხეილ კაშია
კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობს ღებულობს დილის 7 საათ.
მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაბისა თვ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოტებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ბეგია მ. მ. კოხრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია უფლებებ მოკლებული
მ. გ. კვინიხიძის
(თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა).
აცხადებს, რომ მისადები გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან, სწავლა კი 1 სექტ. პროგიმნაზიას აძვს აგრეთვე საანგანო განყოფილება, სადაც მიიღებიან სრულიად მოუმზადებელი ბავშვები.

დაიბეჭდა ა. გარსევანიშვილის წიგნაკი მაია—მათე ყაჩაღათ წოდებული.
იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

გაზეთი „სამშობლო“ თბილისში
მოიკითხეთ კანტორა „განათლებასა“ და მის დამტარებლებთან. აქვე მიიღება ხელის მოწერაც.
ოლდას ქუჩა, 6.

ომის დღიური.

კავკასიის ასპარეზზე ჩვეულებრივი მდგომარეობა გრძელდება. სროლაა ზღვის პირის რაიონში. პასინის ხეობაში მხოლოთ იშვიათი სროლაა. დანარჩენ ადგილებშიაც ცვლილება არ მომხდარა.

რიგის რაიონში ისევ სიწყნარე გრძელდება. ჯერ გამოურკვეველია რას უნდა მიეწეროს ამ რაიონში ეს სიწყნარე. ზღვის ბრძოლის შედეგი ჯერ კიდევ არ ვიცით. იმ ლანაკლისს გარდა, რომელიც გერმანელებს მოუვიდათ ამ ბრძოლის დროს, კერძო წყაროებიდან იუწყებიან, რომ გერმანელებს კიდევ დაკარგვიათ ერთი დამხმარე კრეისერი. შეიძლება გერმანელები ახალ ძალებს უყრიან თავს და შეტევისთვის ემზადებიან. კოვნოდან ვილნოს მიმართულებით გერმანელები წინ მიიწევენ და თვით ვილნოს ემუქრებიან. როგორც ვიცით ვილნოს ევაკუაცია უკვე მოხდა და მოსალოდნელია გერმანელები აქ კიდევ უფრო გააფართოვებენ მოქმედებას.

ბობრსა და ნარევს შუა გერმანელებმა წინ წაიწიეს, რუსებმა თავისი პოზიცია დასტოვეს და ბობრის მარცხენა ნაპირზე გადავიდენ. ამან გამოიწვია ოსოვეცის სიმაგრეების დატოვება. ამნაირათ დღეს ოსოვეციც გერმანელებს ჩაუვარდათ ხელში, ის ოსოვეცი, რომელიც ომის დაწყებიდანვე გერმანელებს ასეთ წინააღმდეგობას უწევდა.

გერმანელები წინ იწევენ ბელსკის აღმოსავლეთით, ბრძოლა სწარმოებს კლეშჩელი-ვისოკოლიტოვსკის ფრონტზე. აქ რუსებს მტრის იერიში მოუგერებიათ და ტყვეებიც წამოუყვანიათ. გერმანელები განაგრძობენ წინსვლას კოველის მიმართულებითაც. ბრძოლა გრძელდება პიშჩის რაიონში.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 11 აგვ. ოფიციალური კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვისპირის რაიონში 9 აგვ. სროლა იყო. პასინის ხეობაში თოფისა და არტილერიის იშვიათი სროლაა. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 11 აგვ. ოფიციალური მთავარ სარდლის შტაბისაგან. რიგის რაიონში ცვლილება არ მომხდარა. იაკობშტატიდან და დვინსკიდან დასავლეთით აგრეთვე კოვნოდან ვილნოსკენ 10 აგვ. და შემდეგ დღეს მტრის ჯარი აწვებოდა ჩვენ ჯარს. ჩვენი ჯარი აჩერებს მტრის წინსვლას. ბობრსა და ნარევს შუა ჩვენ ჩვენი საზოგადო პოზიციებიდან გადავედით ბობრის მარცხენა ნაპირზე. ამის მიხედვით 9 აგვისტოს ჩვენ დავსტოვეთ ოსოვეცის სიმაგრე, რომელიც ხსენებულ პოზიციაზე მდებარეობს. ოსოვეცის სიმაგრე ავაფეთქეთ და ხის შენობები დავსწვით. ზემო ნარევსა და ბუგს შუა 10 აგვ. გრძელდებოდა სასტიკი ბრძოლა ბელსკის აღმოსავლეთის რაიონში და კლეშჩელისა და ვისოკოლიტოვსკის ფრონტზე. ზოგიერთი იერიში მოვიგერეთ. წამოვიყვანეთ ტყვეები და ვიხელეთეთ ტყვის მტყორცნელები. ბუგის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ შევაჩერეთ მტრის იერიშები კოველის მიმართულებით. პიშჩის რაიონში 10 აგვისტოს დაწყებული ბრძოლა გრძელდება.

პეტროგრადი. 10 აგვ. კერძო წყაროებიდან იუწყებიან ზოგიერთ საგულისხმო დაწვრილებითი ცნობებს რიგის ყურეში საზღვაო ბრძოლის შესახებ. შედარებით სუსტს ჩვენ ფლოტს მოუხდა ბრძოლა ძლიერ მტერთან. ჩვენმა ფლოტმა შეაჩერა მტრის მსვლელობა. ნისლიანი ამინდი ხელს უწყობდა მტრის მოქმედებას. 4 აგვ. მტერმა გამოუშვა ორი საუკეთესო ნაღმოსანი „სლავასთან“ შესაბრძოლებლათ. ალიონზე ეს ნაღმოსნები წააწყდენ ჩვენ ნაღმოსან „ნოვიკს“. მტრის ერთი ნაღმოსანი მეტად დაზიანდა და იძულებული გახდა მეორე ნაღმოსნის დახმარებით გაბრუნებულიყო. მალე დაზიანებული ნაღმოსანი ჩაიძირა. იმავე წყაროებიდა იტყობინებიან, რომ აღნიშნულ გერმანელთა ზარალს უნდა დაუმატოთ კიდევ ერთი დამხმარე კრეისერის დაკარგვა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 10 აგვ. საზღვაო მინისტრის ოფიციალური ცნობა. წარსულ ღამეს საფრანგეთის ორი ნაღმოსანი შეხვდა ოსტენდეს სიმაღლეზე გერმანელთა კონტრნაღმოსანს, რომელიც საფრანგეთის ნაღმოსნებმა ჩასძარეს. ჩვენი ნაღმოსნების ზარალი უმნიშვნელოა.

პარიზი. 10 აგვ. დღის ოფიციალური ცნობა. არტუაში, სუშესა და ნევილის სექტორში თოფის სროლაა. სომასა და უაზას შუა და უაზასა და ენს შუა არტილერიის ცხარე ბრძოლაა. არგონში ბრძოლაა ხელით სასროლი ყუმბარების საშუალებით ლონტენმოდენის და ბოლანის ტყის დასავლეთით, ვოგეზში ბერენკოფის მაღლობზე ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიკავეთ მტრის რამდენიმე სანგარი. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა. ჩვენმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს ლანს, ლოინს და ლილის რკინის გზაზე.

პარიზი. 10 აგვ. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუაში სუშეს ჩრდილოეთით და ნევილის სექტორში გრძელდება არტილერიის ბრძოლა. მტერმა ესროლა არასს, მონდიესა და რეიმსს. შამპანში, პერტსა და ბოსეჟურში ბრძოლა სახელოდახელო ყუმბარებით. ვილსიუტურბთან სრულიათ გავანადგურეთ მტრის მოწინავე სანგარი.

იტალიის ასპარეზი.

რომი. 10 აგვ. მთავარ ბინის ოფიციალური ცნობა. კარდეეოლის ზემო ნაწილში მტერი შეეცადა იერიშის მოტანას, მაგრამ მტრის იერიში მოვიგერეთ. ტოლმინოს სექტორში ჩვენი ოპერაციები თანდათან ვითარდებიან. კორსოში ჩვენ დავიკავეთ მტრის რამდენიმე სანგარი. მტრის კონტრ-იერიშები სეიბუსში ადვილათ მოვიგერეთ.

გერმანიის რეიხსტაგი.

(ბეტ. დ. ს.)

კანტელარიის სიტყვა.

სტოკჰოლმი. 9 აგვ. რეიხსტაგის გახსნის დროს კანცლერმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა. თანამედროვე ომის მიზეზათ კანცლერი ინგლისს სთვლის, რადგან გრეი წინააღმდეგი იყო ანგლო—გერმანიის კეთილი განწყობილებისა. კანცლერმა მოიგონა გერმანიის ჯარის ძლევა მოსილი გამარჯვება და მადლობით მოიხსენია ნეიტრალური სახელმწიფონი. კანცლერი შემდეგ შეეხო რუსეთს და ის აზრი გამოსთქვა, რომ ის, კანცლერი, მუდამ სცდილობდა რუსეთთან კეთილი დამოკიდებულება ქონოდა, ჩვენ მართლაც ზოგიერთ საკითხში მიზანს მივაღწიეთ, გავიხსენოთ თუნდა პოტსდამის შეთანხმება. ჩვენ დამოკიდებულებას პირადი ნდობის ხასიათიც კი ქონდა, მაგრამ ამან ვერ განკურნა საზოგადო პოლიტიკური მდგომარეობა, რადგან რევანშის აზრი მეტათ ფეხმოდგმული იყო საფრანგეთსა და ინგლისში და თვით რუსეთში ფეხი მოიკიდა მილიტარისტულმა პანსლავისტურმა იდეამ. ლონდონის კაბინეტი აღიზიანებდა რუსეთს. დამოკიდებულება იმდენათ გამწვავდა, რომ პირველ შემთხვევისათანავე მშვიდობიანობა დაირღვა. დადგა 1914 წ. ზაფხული. კანცლერი შეეხო საზონოვისა და ბერხტოლდის მოლაპარაკებას, გერმანიამ რუსეთის თხოვნით ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო. ვენისა და პეტროგრადის კაბინეტების შორის ამავე დროს მოხდა რაღაც გაუგებრობა, ამის გამო გერმანიამ შესაფერი ზომები მიიღო და თავისი გადაწყვეტილება ვენას აცნობა და თან ურჩევდა თავისი მოკავშირე გერმანია ომში არ ჩაეთრია. (რეიხსტაგში ხმაურობაა). კანცლერი განაგრძობს: ჩირშკის განცხადების მიხედვით ბერხტოლდმა მართლაც განაცხადა, რომ მართლაც რაღაც გაუგებრობა მოხდა, სახელდობრ რუსეთის მხრით. ავსტრო-უნგრეთის ელჩმა პეტროგრადში ამის გამო მიიღო შესაფერი ინსტრუქციები. კანცლერმა ეს ამბავი აუწყა ინგლისის პრესას, მაგრამ ამ უკანასკნელმა ეს ამბავი არ დაიჯერა და ამტკიცებდა, რომ ინსტრუქცია ჩირშკის სახელზე მოგონილია, რათა საზოგადოება შეცდომაში შეეყვანათ. ამის შემდეგ პეტროგრადსა და ვენას შორის თითქმის საქმე გამოსწორდა, მაგრამ უცბათ გამოცხადდა რუსეთის მობილიზაცია და მოლაპარაკება შესწყდა. ომი აუცილებელი გახდა ამ მობილიზაციის გამო.

კანცლერი შეეხო პოლონეთის საკითხს და განმარტა, რომ ავსტრო-გერმანიის ჯარს უკავია პოლონეთის საზღვრები და ამ კუთხის პოლიტიკური გამგეობა ორივე სახელმწიფომ გაინაწილა. არსებული საუკუნოებრივი უთანხმოება ხელს არ შეგვიშლის თანაგრძნობით და პატივით მოვეპყროთ ერთმანეთს, პოლონეთის ერი გასაოცარის გამბედაობით იცავდა თავის კულტურას და თავისუფლების სიყვარულს რუსეთის წინააღმდეგ. მან დაბეტაცია ამ ომიანობის დროს სამშობლოსადმი სიყვარული.

პოლონეთის დაპყრობით მოისპობა შუღლი გერმანელთა და პოლონელებს შორის. რუსეთის უღლისაგან განთავისუფლებულ პოლონეთს შეძლება ეძლევა სრულის იმედით შეხვდეს უკეთეს მომავალს, ის შესძლებს განავითაროს თავისი ეროვნული თვითშეგნება. დაკავებული მხარე იქნება გერმანიის გამგეობის ქვეშ ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით.

რამდენათაც ომი გაგრძელდება, იმდენათ მეტი სისხლი იქნება დანთხეული, მაგრამ ევროპაში არ ჩამოვარდება ისეთი ზავი, როგორც ეს წარმოდგენილი აქვთ ჩვენ მოწინააღმდეგეებს. ახალ ევროპაში ისინი ვერ იხილავენ ძველ გერმანიას, რომელიც დასახულია რუსეთის ვასალათ. არა, ეს ომი აღარ აღადგენს ძველ პირობებს, ის შექმნის ახალს. თუ ევროპას მშვიდობიანობა სურს, გერმანიამ შესაფერი ადგილი უნდა დაიკავოს. ინგლისის პოლიტიკური სისტემა უნდა მოისპოს, რადგან ეს სისტემა ახალი ომის ინკუბატორია. გერმანიამ უნდა მოიპოვოს ისეთი პირობები, რომ მისს მოწინააღმდეგეთ სრულიად გაუქარწყლდეს გერმანიის იზოლაციის აზრი. ზღვა ყველასთვის ღია უნდა იქნეს. გერმანიის გამარჯვება თავისუფლებას მიანიჭებს პატარა ერებს. . . . . .

. . . . . .

ჩვენ გვეზიზღება ის ხალხი, რომელიც მისმა მთავრობამ ომში ჩააბა. ჩვენ აღარა ვართ სენტიმენტალისტები. ჩვენ გაეუძელით და გავუძლებთ ომს, სანამ ეს ხალხი თვით არ გვთხოვს ზავს, სანამ არ შეიქნება საფრანგეთის ინტრიგისაგან და მოსკოვიტების აპეკუნობისაგან განთავისუფლებული ევროპა.

საბერძნეთის ახალი კაბინეტი.

ათინა. 10 აგვისტო. სამინისტროს ახალი შემადგენლობა შემდეგია: ვენიზელოსი—პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი; სამხედრო—გენერალი დანგლისი, საზღვაო კაპიტანი მიალუსი, მიწათმოქმედების—მიხაილოკოპულოსი, ფინანსის—რეპულისი; გზათა დიამანტიტისი, ცირიმორკი—განათლების, შინაგან საქმეთა— კაპარისი, იუსტიციის — რაივანი.

ვენეზილოს კაბინეტმა დღეს ფიცი მიიღო.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

გ ე რ მ ა ნ ი ა.

გრაფ მილტკეს აზრი ომას განგრძობის შესახებ.

საუბრის დროს „ვაშინგტონ პოსტო“-ის კორესპოდენტისთვის გრაფ მალტკეს შემდეგი უთქვამს:

„ამ ჟამათ, გერმანია ომშია გახვეული. მას ყოველი მხრიდან შემოესია მტერი და ცდილობენ სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს გულში. ყოველთვის, როცა ჩვენი მტრები სუსტდებიან, ნეიტრალური სახელმწიფოები, და განსაკუთრებით, ამერიკა, მათ ეხმარებიან. ომის განგრძობა, ამბობს გრაფი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ხანს დაეხმარება ამერიკა ოთხთა შეთანხმებას იარაღის მიწვდით“.

ამავე დროს მოლტკეს მოუკონებია კორესპოდენტისათვის, რომ ამერიკამ, ოდესღაც გერმანიის დახმარებით გაიმარჯვა ესპანელებზეო.

ს ე რ ბ ი ა.

ნაში. 4 აგვისტოს აურაცხელი საზოგადოების თანადასწრებით გაიხსნა სკუპშჩინა. ოპოზიციონური ლიბერალების ლიდერის ველიკოვიჩის შეკითხვაზე —ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთა მიერ გადადგმულ ნაბიჯის გამო —სკუპშჩინის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კრაგუევციდან პაშიჩის დაბრუნებისთანვე მოხდება ფარული სხდომა, რომელზეც მთავრობა მისცემს განმარტებას გარეშე პოლიტიკაზეო.

ბ ულ გ ა რ ე თ ი.

მთავრობის წრეებში ირწმუნებიან, რომ ბულგარეთის დელეგატების გაწვევა კოსტანტინეპოლიდან მოლაპარაკების შეწყვეტას არ ნიშნავს, თუმცა, მართალია, ნაკლები შანსებია გამარჯვებისათვის. პოლიტიკური წრეები თავს იკავებენ გამოთქვან თავისი აზრი მთავრობის უკანასკნელი პასუხის გამო ოთხთა შეთანხმების ნოტაზე, უცდიან რა შედეგებს სკუპშჩინისა და ათინის პარლამენტისას.

ს პ ა რ ს ე თ ი.

სპარსეთის მთავრობის სიუძლურე.

თეირანი. გერმანიის კონსულმა კერმანშახში განუცხადა სპარსეთის მთავრობას, რომ იგი ანგარიშს არ უწევს სპარსეთის ნეიტრალიტეტს და მოითხოვს მისგან, ნება არ მისცეს ინგლისისა და რუსეთის კონსულებს კერმანშახში შესვლისა. და თუ ამას არ ასრულებს სპარსეთის მთავრობა, მაშინ იგი შეიარაღებული ძალით შეხვდება მათ. ამავე დროს კერმანშახის გუბერნატორს, რომელთანაც კონსულები ჩამოხტენ, ულტიმატუმი წარუდგინა, რომ დაუყონებლივ განდევნოს კონსულები სახლიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას ძალით შეასრულებს იგი. სპარსეთის მთავრობა კვლავინდებურათ თავის უძლურებას იჩენს სამინისტროს კრიზისის გამო.

სამხრეთ სპარსეთში ინგლისელების საწინააღმდეგო მოძრაობა გრძელდება. ბუშირის მიდამოებში გაძარცვეს „ბრიტიშ ინდია“-ს კომპანიის ქონება და თავს დაესხენ ბანკის დირეკტორის სახლს. ბუშირსა და შირაზს შორის მიმოსვლა შეწყვეტილია.

დარდანელის გარშემო.

გერმანელების ცნობებით, დარდანელის მდგომარეობა ძლიერ აშფოთებს ოსმალეთის მთავრობას. „ბერლინერ ტაგებლატი“-ს კორესპონდენტი იწყება, ვითომც ამ ჟამათ ოსმალებს სამხედრო მასალა ბლომათ მოეპოებოდეს. „ტანის“ კორესპონდენტი დედეაგაჩიდან ადასტურებს, რომ დარდანელის მდგომარეობა ძლიერ აღელვებს ოსმალეთის მთავრობასაო. კოსტანტინეპოლი დაჭრილებით აივსო. მიმოსვლა თითქმის შეწყვეტილია, ინგლისის წყალ-ქვეშა ნავების ენერგიული მოქმედების გამო.

მუშების კონფერენცია.

პარიზში მოხდა ფრანგ და ინგლისელ მუშათა ლიდერების კონფერენცია. კონფერანციამ დაადგინა, შესდგეს ორივე სახელმწიფოს მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციისაგან საერთო კომიტეტი, რომელიც ხელს შეუწყობს მოკავშირეთა ჯარს გერმანიის მილიტარიზმთან ბრძოლაში.

სახელმწ. სათათბირო

ვამჯდომარეობს **ვარუნსეკრეტი.**

განსახილველია შემოსავლის კვალობაზე გადასახადის კანონ-პროექტი.

მომხსენებელი **პოსნიკოვი** აღნიშნავს საკითხის დიდ მნიშვნელობას. ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ სათათბიროს არ გაურჩევია, ამ საკითხმა კომისიებში იარა რვა წელიწადი და ახლა ამოყო თავი. ამ საკითხის წამოყენება გამოიწვია სამშობლოს დაცვის საკითხმა. მაგრამ სასმელის მონოპოლიის მოსპობით სახელმწიფო შემოსავალს დიდი შემოსავალი დაეკლდა, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში მონოპოლია აღარ გაცოცხლდება. ფინანსიური კომისია დათანხმდა შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღებაზე. ახლო მომავალში საჭირო იქნება მთელი გადასახადის სისტემის გადახილვა. მომხსენებელი იხილავს პროექტის უმთავრეს მუხლებს, გადასახადი ედებათ ჯერჯო პირებს, ამასთან ოჯახის თითოეულ წევრს, რომელსაც კი ცალკე შემოსავალი აქვს, გადასახადი ედება. გადასახადი ედებათ იურიდიულ პიროვნებებს —აქციონერულ საზოგადოებებს და ამხანაგობებს. გადასახადი ედება ნამდვილ შემოსავლის მინიმუმს. ასეთ მინიმუმათ განსაზღვრულია 1000 მანეთი. ამის გამოსარკვევათ საჭიროა ერთნაირი კონტროლი, უამისოთ გადასახადი დამოკიდებული იქნებოდა გადამხდელის პატიოსნებაზე.

კომისიამ საჭიროთ სცნო მოისპოს ბინისა და მრეწველობის გადასახადი, მაგრამ აქ დაბრკოლება გადაგვეღობა, რადგან ეს გადასახადი არჩევნების უფლებას იძლევიან და კომისიამ დაადგინა ეს გადასახადი შეაერთოს შემოსავლის გადასახადთან. მომხსენებელი სთხოვს სათათბიროს მიიღოს კანონ-პროექტი.

მეორე მომხსენებელი **კრინსკი** ამბობს, რომ ვრცელი მოხსენება წარმოადგინა პოსნიკოვმა და ამისთვის მომხსენებელს დარჩენია მხოლოთ დაარწმუნოს საზოგადოება, რომ კომისიამ ყოველნაირი ზომა მიიღო გადამხდელი დაიცვას ფისკის თვითნებობისაგან. ამასთანავე კომისია სცდილობდა ეს კანონი გატარდეს იმ პირთა შეუწუხებლათ, რომელთა ინტერესებსაც ის ეხება. სახელმწიფო ამ კანონის განხორციელებით მიიღებს 50-60 ან და 70 მილ. მანეთს მაგრამ ეს კანონი შემდეგში შექმნის ახალ ფინანსიურ პოლიტიკას.

ფინანსთა მინისტრი: ომმა მოითხოვა სახელმწიფოს ფინანსიური მობილიზაცია. ომის გასაგრძობათ საჭიროა სესხი და ამ სესხის პროცენტების გადასახდელათ საჭიროა დავიხმაროთ სახელმწიფოს რესურსები, საჭირო გავადიდოთ ზოგიერთი გადასახადი და აქციზი, შემოვიღოთ ახალი გადასახადი და სხ. მაგრამ ასეთი ზომები მცირე შემოსავალს იძლევიან და ამის გამო საჭირო გახდა ახალი გადასახადის შემოღება, რომლის განხორციელება ჩვეულებრივ მშვიდობიან დროს უფრო საადვილო იქნებოდა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს თანამედროვე მძიმე დრო. კანონი ისე არის შემუშავებული, რომ იგი უკვე მოიწონა ფინ. კომისიამ და ის უნდა ჩაითვალოს ერთათ ერთ სამართლიან გზათ, რადგან ის ედება ტვირთათ შეძლებულ კლასებს და არა ღარიბებს. ამ კანონის შედეგი შეძლებას მოგვცემს შემდეგში კიდევ უფრო სწორ და სამართლიან გზას დავადგეთ. რაც შეეხება მინიმუმს, მინისტრის აზრით საჭიროა მინიმუმათ ავიღოთ 700 მან. და არა 1000 მან. რადგან ამითი შეძლება გვექნება უფრო მეტს მივაღებინოთ მონაწილეობა გადასახადში. მინისტრი იმედს გამოსთქვამს, რომ ამისთანა დროს შეძოღებული ახალი გადასახადი ხალხს პატრიოტულ გრძნობას გაუღვიძებს. ეს გრძნობა ხალხმა არა ერთ ხელ გამოიჩინა ამ ომის დროს.

13 აგვისტო, ქ. ქუთაისი.

ეს ერთი ხანია ჩვენ გაზედში იბეჭდება ქართველ ებრაელთა წერილები. კრიტიკულის თვალით რომ გავშინჯოთ ეს წერილები და ლიტერატურულის მხრით რომ შევავფასოთ იგინი ჯერ-ჯერობით მხოლოდ პირველი ნაბიჯია ახლად გაღვიძებულის ადამიანისა, მაგრამ აქ ერთი რამ არის საყურადღებო-სახელდობრ ის, რომ ქართველი ებრაელები სცდილობენ დაადგენ ჭულტურულ გზას და თავისი ცხოვრება გაუშუქონ, დააწინაურონ და ქართველებთან დაახლოვების გზაზე დააყენონ.

ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით ამ მოვლენას და იმედიცა გვაქვს, რომ ახლო მომავალში უფრო განმტკიცდება ჩვენი ურთიერთობა, უფრო შევიგნებთ ერთმანეთის გულის თქმას და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გავწევთ ჩვენის საერთო სამშობლოს აღორძინებისა, გაძლიერებისა და წარძატების გზაზე.

საჭიროა მხოლოდ რომ დანარჩენმა ქართულმა პრესამაც ყური დაუგდოს ქართველ ებრაელთა გულის ტკივილს, მათ მისწრაფება-იდეალს და ძმობა—ერთობის ნიადაგზე ხელი შეუწყოს ქართველ ებრაელთა მასსის გათვითცნებიერებას.

ცარიელ ხურჯინის რედაქტორეგი.

ჩვენმა მკითხველებმა იქნება არც კი იციან, რომ ქუთაისში გამოდის რუსული გაზეთი სახელათ „კუტაისკია ვესტი“. ბოდიშს ვიხდით მკითხველების წინაშე, რომ დროზე ვერ ვაუწყეთ მათ, ქუთაისში ახალ „გოროდოვოის“ დაბადება! გაზეთი, რომელიც აქამდისინ მხოლოდ დეპეშებსა და განცხადებებს ბეჭდავდა, უცბათ სამდურავით აღივსო, რისხვით აღიჭურვა, და ისეთ წერილების წერას მიჰყო ხელი, რომელიც ალბათ მის—გაზეთის—Profesion de foi-ს ნიშნავს. მოკლეთ რომ მოვსჭრათ, გაზეთმა არც აცივა, არც აცხელა და ვისთანაც ჯერ არს დაგვაბეზღა: ქართველები ქუთათურ რუსულ გაზეთს არ იწერენო! ჩვენ შეჩვეულნი ვართ ყველანაირ იძულებას, შეჩვეულნი ვართ აგრეთვე იმასაც, რომ ზოგიერთ დაწესებულებისათვის ზოგიერთი გაზეთები სავალდებულო არიან სამწუხაროთ, მაგრამ საზოგადოება და მასსა საერთო დ რომ მოვალე იყოს უუსათოთ ის გაზეთი წაიკითხოს, რომელიც აშკარათ არ ესიამოვნება მას, ასეთი რამ პირველად გვესმის. ეხლა ალბათ ამასაც გვახვევენ თავზე. ჩვენი მოვალეობაა ასეთ გაზეთს და ისეთ ვაუბატონებს, რომლებიც ასე მსჯელობენ, მტკიცედ დავხვდეთ და მათი საკადრისი გზა ვუჩვენოთ. აქ დანდობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც მადა, რომელსაც იჩენს გაზეთი — ისეთია, რომელიც თითონ არ დაგვინდობს, თუ კი რამე შესძლო. ამიტომ საკითხი პირდაპირ უნდა დავსვათ: რა გაზეთია ეს გაზეთი და რამდენათ არის იგი რუსული? ჩვენ არ ვიცით, ვინა სწერენ ამ გაზეთშს—მწერლებათ იქნება ქართველებიც ერიონ შიგ, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ არც გაზეთის რედაქტორია რუსი და არც გამომცემელი, ხოლო მკითხველებათ კი, უმთავრესად ქართველები ჰყავთ სახეში, შრიფტის მეტი მაშასადამე იქ რუსული არაფერი არ იქნება და ასეთი გაზეთის რუსულათ მონათვლა ერთგვარი ჯამბაზობაა მათ წინაშე, ვის ყურადღების დამსახურებას ცდილობს, ალბათ, გაზეთი? ვინ არიან ის პირნი, ან ის საზოგადოებრივი წრეები, ვის ქომაგადაც სთვლის თავის თავს ქუთათური რუსული გაზეთი. გაზეთმა ეს თითონაც არ იცის. ხან რუს ჩინოვნიკებს ეპოტინება და ალბათ მათ გემოზე სურს მოიმართოს, ხან კი ფართო საზოგადოებას და რაღაც მანქანებით ხელშეუხებელ ჭეშმარიტებათ მიაჩნია ის აზრი, რომ „მხოლოდ ადგილობრივ რუსულ ორგანოს შეუძლია შექმნას და მოამზადოს რუსული აზრი ქართულ, სომხურ და სხვათა ეროვნულ საკითხებისათვისო“. მაშასადამე, ქართული, სომხური და სხვათა პრესა უქმი ხალხის უქმი საქმე ყოფილა. მაშ, ჩვენ ჩვენი გაზეთები უნდა მივკეტოთ, და „კუტაისკია ვესტის“ რედაქციაში დავსდგეთ გაზეთის დამტარებლებათ, რათა ხელი შევუწყოთ, როგორც გაზეთი ამბობს, „ნებისა და შეგნების შემუშავებას“, რომელიც აგრეთვე მარტო რუსულ გაზეთს შესძლებია, იმავ ავტორის სიტყვით. ერთის სიტყვით მთელი ჩვენი ბედნიერება იქა ყოფილა, სადაც არის „კუტაისკია ვესტის“-რედაქცია და ჩვენ მოვალენი ვყოფილვართ ყველანი იქ მივიდეთ. მაგრამ, რადგანაც ცარიელი მისვლა არაფერია, მივიტანოთ კიდეც ჩვენი შაურები, რათა „კუტაისკია ვესტიმ“ ფრთა გაშალოს. როგორც ხედავთ, იმ უმაღლეს პოლიტიკაზე, რომელზედაც ლაპარაკობს გაზეთი, კარგა მოზრდილი ხურჯინია გადაკიდებული, რომელიც ჩვენ უნდა ამოვავსოთ ბ.ბ. მელიქ-ავაქოვის და გერმანის გასახარებლათ. ყველაფერი ეს ფრიად სასაცილოა, სამწუხაროც რომ არ იყოს. მაგრამ დიდი ხნით მაზედ შეჩერება არა ღირს. ჩვენი მკითხველი საზოგადოება იმდენათ ფხიზელია, რომ თითონაც იცის ავისა და კარგის შეტყობა და მისი გაფრთხილება ასეთ მავნე გაზეთებისგან. ჩვენ ზედმეტათაც კი მიგვაჩნია ჩვენ ვფიქრობთ, რომ „კუტაისკია ვესტიც“ ისევე ვერ შესძლებს თავის „დიდ პროგრამის“ შესრულებას, როგორც ვერ შესძლეს მისგან ჩამოთვლილმა და წიაღსა შინა აბრამისა დაბინავებულმა: „კუტაისკი ლისტოკმა“, „კუტაისკია ჟიზნმა“ და „რ-ონ მა“. ისინი დაიხრჩვენ სწორეთ იმ სუნით, რომელიც ასდის „კუტაისკია ვესტი“-საც. ა—ი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ დაბეჯითებითა და გადაჭრილათ შეგვიძლია ვაუწყოთ ქუთაისის საზოგადოებას, რომ პირველ სექტემბრიდან გაიხსნება ახალი და ფრიად საჭირო კომერციული სასწავლებელი. პირველ ხანებში მოეწყობა ორი მოსამზადებელი და 1—12 კლასი. დაწვრილებითი განცხადება, მიღების პირობები და ვინაობა დირექტორისა ამ დღეებში ეუწყება საზოგადოებას.

✦ ქუთაისის უმაღლეს პირველ-დაწყებით სასწავლებლებში 2, 3 და 4 კლასებში სწავლა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით 7 აგვისტოდან დაიწყო. მისაღები გამოცდები ამ სასწავლებელში 27 აგვისტოს მოხდება. სწავლა პირველ კლასში კი 1 სექტემბრიდან დაიწყება.

✦ დ. ახალ-სენაკში მასწავლებელთა საპედაგოგო კურსები უკვე დასრულდა. ამ კურსებზე მსმენელთა რიცხვი 30 იყო. მათში ქალი მასწავლებლებიც ერიენ და თავისუფალი მსმენელებიც. ამ კურსებს ხელმძღვანელობდა ინსპეკტორი ბ-ნი მუხინი. ლექტორათ მოწვეული იყო უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის ინსპეკტორი ბ-ნი პორუჩიკოვი და სამტრედიიდან ბ-ნი მიუნცა. ლექტორები კურსებზე მტკიცედ იცავდენ 82 წლის გეგმას.

✦ მოკლე ხანში საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკი გადმოვა თავის შენობაში, სადაც ამ ჟამათ მოთავსებულია ქალაქის თვითმართველობა.

✦ 6 აგვისტოს, სოფ. გვიშტიბის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაზე გადახდილი იქმნა პანაშვიდი ჩვენი უკვდავი მგოსნის, მთის არწივის ვაჟა-ფშაველას სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. პანაშვიდის გადახდის შემდეგ მღვდელმა მიხეილ ჩიქვინიძემ დამსწრე საზოგადოებას მოკლეთ გააცნო მგოსნის ბიოგრაფია და მისი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე.

✦ როგორც დ. ცაიშიდან გვწერენ, წყალდიდობას ამ დაბისათვის 300,000 მანეთის ზარალი მიუყენებია. დაბას დახმარება სჭირდება, მაგრამ ჯერ მშველელი არსათ სჩანს.

✦ ქუთაისის კომერციული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების კომიტეტს მომავალი კომერციული სასწავლებლის დაარსების შესახებ სხდომა ექნება კვირას, 16 აგვისტოს.

✦ გუშინ, 11 აგვისტოს, დილის მატარებლით ბათომიდან ქუთაისში მოიყვანეს ომში დაჭრილი და ავათმყოფი ჯარის კაცები. მათი რიცხვი სულ ას ორმოცდაათია. ამ ავათმყოფი ჯარის კაცების სიას ხვალის ნუმერში მოვათავსებთ. როგორც გადმოგვცეს ქუთაისში დაჭრილ ჯარის კაცებს კიდევ მოიყვანებენ. მათთვის დაარსდება განცალკევებული საავათმყოფო.

✦ 6 აგვისტოს ცაგერის საკათედრო ტაძარში პანაშვიდი გადაიხადეს ვაჟას სულის მოსახსენებლათ, რასაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

✦ ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს დასამტკიცებლათ გაუგზავნა სამეურნეო კომისიისა და სანოვაგის მომწყობი კომისიის ოქმი.

✦ ქუთაისის ქალთა საზოგადოების მიერ გახსნილი სახელოსნო სკოლაში სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდან, გამოცდები დანიშნულია 27 აგვისტოსთვის.

✦ სოფ. ამაღლებაში (ქუთაისის მაზრა) 1 სექტემბრიდან იხსნება უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი.

✦ ქალაქის სანიტარმა ექიმმა ვ. წერეთელმა და ფერშალმა შავგულიძემ მესხეთის ქუჩაზე სანიტარული წესების დარღვევისათვის ოქმები შეუყენეს ალექსანდრე კიკვაძეს და ელიპიტა კვინიხიძეს.

✦ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორათ დაინიშნა სტავროპოლის ქალთა გიმნიზიის ყოფილი დირექტორი ნ. ტ. გორბუნოვი. ბ-ნი გორბუნოვი ქუთაისში უკვე ჩამოვიდა.

იმერეთის ეპარქიალური საბჭოს საყურადღებოდ.

გაზ. „სამშობლოს“ № 137-ში მეტად საყურადღებო წერილია მოთავსებული ბ. გულშემატკივარისა, სადაც, აღნიშნავს რა სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საშინელ მდგომარეობას, მოუწოდებს პრესას და საზოგადოებას მხარი დაუჭიროს ეპარქიალურ საბჭოსაგან უდანაშაულოდ დასჯილ მასწავლებლებს. თუ არ ვსდებით დღემდის არავის გაუცია პასუხმ ამ საყურადღებო წერილისათვის და არც პრესას გამოუთქვამს თავისი აზრი ამ საგნის შესახებ, რაც მეტად სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს,—მით უმეტეს, რომ ბ-ნი გულშემატკივარი თავის წერილის „p. s.“-ში აღნიშნავს: „როგორც გავიგეთ მასწავლებლებმა თხოვნით მიმართეს ყოვლად სამღვდელოს, რათა უკანასკნელმა გავლენა იქონიოს საბჭოზე თავისუფალ ადგილებზე ის მასწავლებლები გადაიყვანონ, რომლებიც მცირე ჯამაგირით მსახურობენ რამოდენიმე წლის განმავლობაში. ადვილი შესაძლებელია, რომ საბჭომ თავი შეურაცყოფილად ჩასთვალოს, რადგან მასწავლებლებმა თხოვნით მღვდელ მთავარს მიმართეს და არა საბჭოს, როგორც,—უნდავიფიქროთ,—ალბათ უკანასკნელისგან იმედ გაცრუებულებმა...

ისიც ადვილათ შეიძლება, რომ ბ. გულშემატკივრის წერილის ავტორობა საბჭომ თხოვნის დამწერ მასწავლებლებს დააბრალოს და დახმარების მაგივრად, პირიქით, კიდევაც დასაჯოს... განა ცოტაა ასეთი მაგალითი.

ჩვენ არ ვიცით, რა ზომები მიიღო ყოვლად-საღვდელომ; არც ის ვიცით, თუ რა გადაწყვეტილებას დაადგა საბჭო მაგრამ ის კი გადაჭრით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ მასწავლებლებს თხოვნა ზიანს უფრო მოუტანს, ვიდრე სარგებლობას, თუ პრესამ და საზოგადოებამ ხმა არ ამოიღო ამის შესახებ.

ვინ არ იცის, რომ სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობა მეტად ცუდია, მით უფრო, დღევანდელ დღეს: მათ მცირედ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ის მცირედი ჯამაგირი (30 მან.), რომელსაც ისინი დღეს დღეობით ღებულობენ.

მაგრამ ჩვენ ვერ წარმოგვადგენია—რით ხელმძღვანელობს საბჭო, როდესაც 10—20 მან. უნიშნავს მასწავლებელს და ასეთი ჯამაგირით 3—5 წელიწადს ამსახურებს?

თუ მით სარგებლობს, რომ მასწავლებელი სუსტია გონებრივათ და თავის მოვალეობას ვერ ასრულებს რიგიანად, ეს გასამართლებელი საბუთი არ არის:

„უვარგისი მასწავლებელი სავსებით“ უნდა მიაშორონს სკოლას. მაგრამ 10—20 მან. ჯამაგირით განა შესაძლებელია, რომ კარგი მასწავლებელიც გაუდგეს?!

განა არ არის ასეთი მაგალითი? განა საბჭოს არ ეგულება ასეთი მასწავლებელი?!

თუ თქვენ მას საშუალებას არ მისცემთ ჟურნალ-გაზეთების კითხვისას, არ მისცემთ საშუალებას პედაგოგიურ ლიტერატურას თვალი ადევნოს და კუჭს სიმშილით გაუხმობთ, რა უნდა მოსთხოვოთ ასეთ მშიერ მასწავლებლებს?!

ჩვენ გადაჭრით ვსვამთ საკითხს: შეუძლია თუ არა—ისიც დღევანდელ პირობებში—10—12—20 მანეთით იცხოვროს მასწავლებელმა რაც სახელმწიფო სათათბიროშაც კი შეუძლებლათ სცნო?

ეგებ ეს შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს აზრით?!

და თუ ეს შეუძლებლათ მიაჩნია საბჭოსაც, რით ხელმძღვანელობთ, როდესაც ასეთ ჯამაგირიანი მასწავლებლები გყავთ, რომლებიც 3—5 წელიწადი მსახურობენ?

ჩვენ პასუხს ველით!

მეც გულშემატკივარი.

ქართველი ეგრაელობა და ქართული პრესა.

როგორც ისტორია გადმოგვცემს, ქართველი ებრაელობა უხსოვარი დროიდან ქართველ ერთან ერთად ცხოვრობს, მათს ჭირსა და ლხინს თანასწორათ იზიარებს. ხოლო პოლიტიკური უფლებების მხრივ ქართველი ებრაელობა გამონაკლისს შეადგენს. მართალია, საერთოდ, ყველგან არსად არ არიან ებრაელები პოლიტიკური უფლებებით აღჭურვილნი, მაგრამ სხვაგან, რაც აქვთ, აქ ამასაც მოკლებული არიან. მაგ. მათ არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საქალაქო და სამაზრო არჩევანში, იყოლიონ თავისი წარმომადგენლები და სხვა. როგორც ზევით ვსთქვი, ქართველი ებრაელები, როგორც პოლიტიკურათ, ისე კულტურულათ ძლიერ ჩამორჩენილი არიან თავის მოძმე რუსეთისა და ევროპის ებრაელობას. იქ მათ აქვთ თავისი საკუთარი ორგანო, აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელნიც თავგამოდებით მოითხოვენ თავის პოლიტიკური უფლებების აღდგენას. საქართველოში კი ამის მსგავსს თქვენ ვერაფერს შეხვდებით. დაწყებული „ივერია“ „ცნობის ფურცლიდან“ ყველა ქართულ გამოცემას ვინც კი გულმოდგინეთ თვალ-ყურს ადევნებდა, უთუოდ შეამჩნევდა, რომ არც ერთი ებრაელის წერილი ამ ორგანოებში მოთავსებული არ იყო. თითქოს ქართველ ებრაელობას არა ჰქონებოდეს ისეთი საკითხები, რომელიც მის ცხოვრებას შეეხება და რასაც ამავე დროს საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ქართველმა ებრაელებმა ისიც კი ვერ შეიგნო, რომ მიებაძა თავის მოძმე რუსეთის ებრაელობისათვის, რომელნიც ასე თავგამოდებით იცავენ თავის პოლიტიკურ უფლებას.

თუ ქართველმა ებრაელობამ იმდენი ვერ შესძლო, რომ თავის უფლების მოთხოვნა წამოეყენებია, ნუ თუ ზედეტი იქნებოდა ჩვენთვის ქართული ლიტერატურის შემწეობით ჩვენი ჭირ-ვარამი მაინც გაგვეზიარებია ჩვენი მოძმე ებრაელებისათვის? ამ შემთხვევაში ქართველი ებრაელობა კმაყოფილდება მხოლოდ თავისი რაბინების ქადაგებით და გულ-ხელ დაკრებილი შესცქერის თავის ბედს.

სასიხარულო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გვიან მაინც გამოჩნდენ ებრაელთა შორის ისეთი გულშემატკივარი პირები, რომელთაც პატივცემულ „სამშობლოს“ ფურცლებზე ამცნეს ქვეყანას თვისი გაჭირვება, უკულტურობა, უუფლებობა.

ამგვარათ ქართველი ებრაელების გამოსვლა ქართულ ლიტერატურაში ჩვენ ებრაელებმა სასიხარულო ფაკტათ უნდა აღვიაროთ და თუ პატივცემულმა „სამშობლოს“ რედაქციამ ადგილი დაუთმო კვლავაც ჩვენს წერილებს, ეჭვი არაა გამოფხიზლების გზას დავადგებით, ბევრრამ საჭირო გამოირკვევა ჩვენის ცხოვრებიდან და ამავე დროს ნიადაგი ჩაეყრება ჩვენს კულტურულ საქმიანობასაც.*)

არ შემიძლია მადლობა არ ვუძღვნა ბ. დავით ბაბაზოვს, რომელმაც პირველმა ამოიღო ხმა ქართველი ებრაელების შესახებ და მისი მოწოდება გულის სიღრმემდი ჩასწვდა ყველა ებრაელს, ვისაც კი ქვის გული არა აქვს, ვისაც ებრაული გული უძგერს. ჩვენდა სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნოთ ქართველ ებრაელ ინტელიგენტების უმოქმედობა. დროა ბ-ბო, ახლა მაინც ამოიღოთ ხმა, იმოღვაწეოთ თქვენი ერის საკეთილდღეოთ, თორემ გახსოვდესთ, რომ ისტორია მკაცრ მსჯავრს დასდებს თქვენს უპრინციპობა-უმოქმედობას.

მართალია, ქართვ. ებრაელობას პოლიტიკური ბორკილები დიდ დაბრკოლებას უწევს, მაგრამ უარეს დიდს დაბრკოლებას უწევს სარწმუნოებრივი „ბორკილები“, რასაც მაგრათ შეუბორკავს და შეუხუთავს მათი გონება. მართალია, ყველა კაცს აქვს სარწმუნოება და, რასაკვირელია, რომ ქართველ ებრაელებსაც სწამთ თავისი სჯული, მაგრამ სარწმუნოებას თავისი დანიშნულება აქვს და კულტურას კი,—თავისი და როგორ შეიძლება მოხდეს ორივეს ერთად შესრულება ერთსა და იმავე საშუალებით, რასაც ხშირათ აწარმოებს ქართველი ებრაელობა თავისი რაბინებით. ქართულ ლიტერატურაში. როგორც ზემოთ მქონდა ნათქვამი, რანაირი და რა მოსაზრებითაც კი უნდა იყოს იგი გამოსვლა მაინც დიდს ბედნიერებათ უნდა ჩაითვალოს ქ. ებრაელთა ცხოვრებაში და, ვისაც კი იოტისოდენათ მაინც შერჩენია შეგნება თავმოყვარეობისა, და თავისი მოძმისა, აუცილებლათ საჭიროა შეეხვდეთ მათს გამოსვლას სიხარულითა და სიამოვნებით.

ვეცადოთ, რომ ახლო მომავალში ებრაელთა წერილები ქართულ ლიტერატურაში ასეულათ და ათასეულათ გარდავაქციოთ, თორემ, ყველამ გარგათ უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა, რომელშიაც დღეს იმყოფება ქ. ებრაელობა, ყოვლად შეუძლებელია.

ქართველ ებრაელებისათვის დიდ ჯილდოთ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვენ თავისუფლათ ვცხოვრობთ ქართველებს შორის და რომ ქართველმა ერმა ქართველი ებრაელობა დაიფარა იმ აწიოკებისაგან, რასაც ჩვენი მოძმენი განიცდიან სხვაგან. დათუ ასეთი მდგომარეობით ვერ ვისარგებლეთ დღემდი—ამაში დიდი დანაშაული ედება ჩვენს მოწინავე პირებს. დროა აწ მაინც გამოვიფხიზლოთ და შეერთებული ძალით შეუდგეთ კულტურულ განვითარებას, თორემ შემდეგ გვიანდა იქნება სინანული.

ლაილაშელი ებრაელი.

*) ჩვენი რედაქცია დიდი სიამოვნებით უთმობდა და დაუთმობს ადგილს ქართველ ებრაელების წერილებს. რედაქცია ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს მხოლოდ ერთად-ერთი სურვილით, რომ ქართველმა ებრაელებმა მტკიცე და მეგობრული კავშირი ჩამოაგდონ ქართველებთან და შეძლებისადაგვარათ ახსნან და განმარტონ თავისი მდგომარეობა. ხშირად რედაქცია ვერ გაიზიარებს ამა თუ იმ დებულებას ებრაელთაგან გამოთქმულს ჩვენს გაზეთში, ვინაიდან ქართველ ებრაელთა ცხოვრება და განვითარება ჯერ არა დგას საჯურველ ნიადაგზე და ბევრი საანბანო ჭეშმარიტება ქართველ ებრაელთა მასისათვის ჯერ შეუმცნებელია, მაგრამ რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს ადგილს ამ საანბანო ჭეშმარიტებასაც კი, ოღონდ კი ქართველმა ებრაელმა შეიგნოს ძალა ერთობისა ქართველებთან და დაამყაროონ ძმური ურთიერთობა. **რედ.**

ნერილი სოფლიდან.

ვინ არ იცის, რომ წინა წლებშიაც ჩვენს კეკლუც სამშობლოს მოუსავლობა ეწვია. ხშირად შეხვდებოდით მოსახლეს, რომელსაც ორი-სამი თვის სარჩოც კი არ მოსვლია და რა გასაკვირალია, თუ ამგვარ მოუსავლობას მალე თავის შედეგიც მოჰყვა: სამშობლო მხარე სიმშილის ბურუსში გაეხვია და ჩვენი გლეხობა, განსაკუთრებით, უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა. ლუკმა პურის ძიებაში ის იძულებული შეიქნა თავის კერას მოსცილებოდა და შორს გადახვეწილიყო, მაგრამ ხშირად ვერც გარეშე თავის კერისა პოულობდა რასმე და ღლიაში ამოდებულ ცარიელ ტომრით ოჯახს უკანვე უბრუნდებოდა. დამშეულ ცოლ-შვილს იმედი უცრუვდებოდა და სასოწარკვეთილებას მიცემული ღმერთს სიკვდილსაც კი შენატროდა. უსმელ-უჭმელი და ღონემიხდილი მამა ოჯახისა კვლავ გზას ადგებოდა, რათა ქვა გაეხეთქა და პური ეშოვა. მწარე ფიქრები კი თავს დატრიალებდენ: სიმშილისაგან ატირებული ცოლ-შვილი განუშორებლად თვალწინ უდგა, მაგრამ იმედ დაკარგულს ხსნა ვერსად უპოვნია და მისს ფიზიკურსა და სულიერ ტანჯვას საზღვარი არ ჰქონდა. ამ დროს იქა-აქ მოისმა ხმა, რომ მთავრობამ განიზრახა დახმარება აღმოუჩინოს დამშეულ ხალხს და ხელმისაწვდენ ფასებში სიმინდი დაურიგოს. ელვის სისწრაფით მოედვა ეს ამბავი დაბასოფელს და ხალხის სიხარულს საზღვარი არ ქონდა. დაიმედებული გლეხობა საათობით ითვლიდა იმ სანატრელ დღეს, როდესაც სიმინდი დაურიგდებოდათ და მისი ოჯახის ტანჯვას ბოლო მოეღებოდა. მალე მოაწია ამ დრომაც და მთავრობამ ხალხს საჭირო სიმინდი დაურიგა, მხოლოდ სიმინდის ვალი გლეხობას მომავალში უნდა გადაეხადა. მას შემდეგ განვლო რამდენიმე დრომ და მსოფლიოს ისტორიაში უმაგალითო ომი მოევლინა, რომელიც მთელი მისი სიმძიმით კვლავ მშრომელ ხალხს დააწვა. თანაც ომში გაწვეულმა ჯარის კაცებმა საგრძნობლად შეამცირა მუშა კაცის ხელი, რის გამო ნახევრად დაუმუშავებელი დარჩა მიწები. ხვნა-თესვის და მარგლის დროს გამუდმებულმა წვიმებმა კი ძლიერ შეუშალა მუშა ხალხს ყანა-ვენახების დამუშავება და განა ამის შემდეგ გასაკვირალია, რომ წელს ჩვენი მშრომელი ხალხი გაცილებით ცუდ პირობებშია, ვიდრე წასრულ წლებში იყვნენ? ნახევარზე მეტს, სოფლის მცხოვრებლებს დღეს დღეობით სიმინდი საყიდელი აქვს, მოსფლიო ომმა კი ძლიერ შეამცირა წარმოება და საზოგადოთ მუშაობა, რის გამო მშრომელ ხალხს საშუალება ეკარგება ნამუშევარი ფულით მთავრობის და საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებანი დაკმაყოფილოს, ამიტომ ჩვენ სოფელში (გეგუთი, ქუთ. მაზ.) ხშირად შეხვდებით იმგვარ ოჯახს, რომელსაც მთელი დღეობით არაფერი უჭამია. ამაზე მეტი გაჭირვება შესაძლებელია? და დღეს ამგვარ ოჯახს სიმინდის ფულის გადახდას სთხოვენ, ისიც დაუყონებლივ, ორი დღის განმავლობაში.

გარდა გეგუთისა სხვა სოფლებსაც ჰქონდათ აღებული მთავრობიდან სიმინდი, მაგრამ იქაურმა მამასახლისმა ორი-სამი თვის წინათ გამოუცხადა ხალხს ფულის მოგროვების განკარგულება და ამნაირად მათ საშვალება მიეცათ ან შუამდგომლობა აღეძრად, ვისთანაც ჯერ არს, და ფულის მოგროვება მომავალ წლის მოსავლამდე გადაედვათ, ან და ორი-სამი თვის განმავლობაში შესძლებდენ ფულის შეგროვებას და ამნაირად მთავრობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. როგორც ვიცით, გუბერნატორმა მრავალი ამდაგვარი თხოვნა ხალხისა შეიწყნარა და თუ გეგუთლებმა ამ ზომას ხელი არ მიჰყვეს, მხოლოდ იმიტომ, რომ აქაური მცხოვრებნი სულ სხვა პირობებში იქნა ჩაყენებული. მათ მხოლოდ წინა დღით გამოუცხადეს ფულის შეგროვების განკარგულება და ისიც ორი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილობრივი ადმინისტრაცია მკაცრი ზომებით იმუქრებოდა. ვისაც მოხერხება ქონდა მან უსიამოვნება თავიდან აიცდინა და მთავრობის მოთხოვნილება დაკმაყოფილა, მხოლოდ შეუძლებელი დააწვათ თავზე მთელი სიმკაცრე პოლიციის ძალისა.

მის მაგიერ, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ შუამდგომლობა აღძრას თავის უფროსთან და გაჭირვებული ხალხი განსაცდელიდან იხსნას, ის ყოველ ზომებს მიმართავს, რათა დაუყონებლივ იქნას მოგროვილი ფული. მკაცრი ზომებით დამუქრება მხოლოდ სიტყვიერი კი არ იყო, არამედ ის სისრულეშიაც იქნა მოყვანილი. დღიური მუშაობისაგან დაქანცულ დაღლილ მუშას შუა ღამისას ლოგინიდან წამოაგდებდენ და მწერალ-მამასახლისს წარუდგენდენ, ან და საქონელს გამოუყვანდენ და სხვა. როგორ, რა საშუალებით უნდა დააკმაყოფილოს მან მთავრობის მოთხოვნილება და 10—15 მანეთი გადაიხადოს, როდესაც ხშირად ერთი ბათმანი სიმინდის ფასი არ მოეძებნება და ოჯახი სიმშილისაგან დაწუხებული ყავს?

სოფლის გლეხობამ მეორე დღესვე თხოვნით მიმართეს გუბერნატორს და სთხოვეს შემოდგომამდე ფულის გადახდის განგრძობა. გუბერნატორმა აღუთქვა დახმარება, მხოლოდ ამისათვის საჭირო იყო ორი-სამი დღე, მაგრამ ადგილობრივმა პოლიციამ ორი დღითაც არ ადროვა და „მკაცრი“ ზომებით აუწერელ მდგომარეობაში ჩააყენა გლეხობა. თავს ქუთაისის მაზრის ბოქაულის მოწერილობით იმართლებენ, მაგრამ ჩვენ არ გვჯერა, რომ ბ. ფხაკაძემ ამგვარი მოწერილობა გამოგზავნა, რადგან სხვა სოფლებში ორი-სამი თვით იქნა ფულის შეკრების განკარგულება გამოცხადებული. რა თქმა უნდა იმ სოფლებში მგზავსი გეგუთისა არ მომხდარა რა.

ლევან გეგუთელი.

აკაკის—საკვირაო სკოლა.

(შავი ზღ. გუბ.)

ტუაპსეში ვინ იცნს, ამ სათაურის ამოკითხვა ბევრს გასაკვირველათ დაურჩეს და შემდეგი სიტყვებით ღაღად ჰყოს: „რა-დროს ტუაფსეა—შიმშილით კუჭი გვიხდება და ესეც არ იყოს შიგ საქართველოში მეტათ ვსაჭიროებთ კულტურულ დაწესებულებასო“. ეს სიმართლეა მაგრამ ამავე დროს დაუნდობელი მკითხველი თუ გაითვალწინებს მომავალ მნიშვნელობას ტუაპსისას,—ადგილობრივ ქართველთა მიერ. აკაკის სახელობაზე საკვირაო სკოლის ასაშენებელ, თანხის გადადებას; მაშინ ნათლათ დინახავს ქართველთა ცხოვრების წინსვლას, მის მკვიდრთა მშობლურ გრძნობების გაასკეცებას. სულ რამდენიმე წელიწადია რაც დაიწყო ტუაფსის აღორძინება და მალე თვისი—ცოცხალი ბუნებით და მდებარეობით დიდი ყურადღება მიიქცია; დღეს თუმცა ოფიციალურათ ქალაქის სახელს არ ატარებს, მაგრამ ისე არმავირისაკენ მიმავალი,—ახალსენაკამდი დღეს შენებული რკინის გზა და დიდებული ნავ-საცგური საუკეთესო მაჩვენებელი არი იმის, რომ ახლო მომავალში ტუაფსე, შეიმენება ეკონომიურ-სავაჭრო ცენტრათ, სადაც მდიდარ ჩრდილო კავკასიიდან პურისა და სხვა ნაწარმოების გაგზავნ-გამოგზავნის საქმე—მოწყობა. წარმოობის წყალობით ტუაპსეს დღესაც არც ისე ცოტა ქართველობა შეჰკედლებია, რომელიც ცთილობს ეროვნულ-კულტურულ დაწესებულების დაარსებით მტკიცე საფუძველი გაიჩინოს მომავალ რთულ ცხოვრებისათვის.

თიბათვეში შემთხვევით ტუაფსეში ადგილობრივ ქ. შ. წ. კ. გ. განყოფილების ბიბლიოთეკა-სამკითხველოს კომისიის კრებას დავესწარი; გადასაწყვეტი იყო საკითხი თუ რა სახსარი გამოეძებნათ ხსენებულ, აკაკის სახელობაზე საკვირაო სკოლის დასაარსებლათ. კითხვა ერთ-თავად გადასწყვიტა მადლიანმა ქველმოქმედმა ბ. სპირდონ ბენდუქიძემ, რომელმაც ორი ათასი მანეთი შესწირა ხსენებულ სკოლას—. სკოლის ასაგები მიწაც ქალაქმა საუკეთესო ალაგს მცირე ფასათ დაუთმო და ამით წათამამებული ქართველობა დაუზარებლივ შეუდგა ერთმანეთში საჭირო დასამატ თანხის მოგროვებას. არჩეულ იქნა საამშენებლო კომისია, რომელმაც შეადგინა გეგმა და სათანადო შენობის აგება გადასცა მოიჯარადრეს.

იმედი უნდა ვიქონიოთ: როგორც კომისიის, აგრეთვე მთელი ტუაფსის ქართველობის ენერგიული საქმის სიყვარულითი მოქმედება, სიმპატიურ დასაწყის კეთილათ დააგვირგვინებს და იქ, სამშობლოს მოშორებით, ეროვნულ განათლების ლამპარს ანთებს საშვილიშვილო გადასაცემათ და კეთილ მოსაგონარათ.

იოლა.

დასავლეთი საქართველო.

არც ერთ საქართველოს კუთხეში არ გავრცელებულა სწავლა-განათლება ამ უკანასკნელ წლებში ისე, როგორც დასავლეთ საქართველოში. ვინც ამ კუთხეს იცნობს, მისთვის ამის მტკიცება ზედმეტია. მაგალითად, თუ გნებავთ, ავიღოთ გურია. ყველამ კარგად იცის, რომ გურია არც ისე მდიდარი მხარეა, მიუხედავათ ამისა, გურულები თავის უკანასკნელ წვლილს იღებენ და სწავლა განათლების საქმეს ახმარებენ. ამიტომ არის რომ გურიაში ვერ ნახავთ ისეთ სოფელს, სადაც არ იყოს ორკლასიანი სასწავლებელი, სულ ხშირად შეგხვდებათ სტუდენტები, აბა საშვალო სასწავლებლების მოწაფეები—ხომ საკვირველია ერთ სოფელში დაარსებული „ეროვნული დუქანი“, როგორც აკაკის სახელზე დაარსებული საკრედიტო-ბანკი. ეს საკმაოდ გვიმტკიცებს იმას, რომ სოფლებში შეჭრილია სწავლა-განათლების ძლიერი სხივები; საკმაოდ მოიძებნება მოზარდი თაობა, რომელსაც შეუძლია ხალხს წინ გაუძღვეს. მართლაც—ხალხს ახლა ესაჭიროება ეს: ჯერ ომმა დიდი ზიანი მიაყენა სოფელს, გამოაცალა მას საუკეთესო ძალები, მერმე სიმშილმა და ახლა შეუწყნარებელმა წყალდიდობამ, რომელმაც ადამიანთა მსხვერპლის გარდა მოსპო ყანები. სიმშილობას-სიმშილობა დაედევნა.

„შარშანდელი დამშეული—წელს გავძღებოდი მეგონაო“, აი როგორ შემომჩივლა ერთმა სოფლელმა. აბა მითხარით, როდის უნდა გვაჩვენოს ახალგაზდობამ თავისი ძალა, ენერგია, თუ არ ახლა? არასოდეს! ვინც ახლა საქმეს არ დაეკიდება და ხალხს დახმარებას არ გაუწევს, მისგან არასოდეს არა გაკეთდება-რა. ახალგაზდებ! შეისისხლხორცეთ ის აზრი, რომ მშრომელი ხალხის გაჭირვებაში დახმარება ერთად ერთი ძლიერ სიმპატიური საქმეა; გაძვალტყავებულ ხალხს შემოძახება სჭირია. დავტრიალდეთ ხალხში და არა კაბინეტებსა და აგარაკებზე. პარტიული ჟინიანობა არავის არ შეშვენის ხალხის დახმარება—შველის საქმეში. ვერავინ გაიმართლებს თავს, რომ მან-ერთმა ვერაფერი ქნა; იყოს სურვილი, თორემ ძნელი საქმეც გაადვილდება.

ბ. ჯუმათელი.

ვაჟა-ფშაველას სახელოგის ბიბლიოთეკა.

როგორც ამას წინად მოგახსენეთ, მთავრობამ ნება დართო წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას დაარსოს ქუთაისში უფასო წიგნსაკავ-სამკითხველო ღულაძისეული მოედანზე. ამის გამო შაბათს, 8 აგვისტოს, ამა სამკითხველოს სამზრუნველო კომიტეტს საღამოს 6 საათზე ჰქონდა სხდომა, რომელზედაც სხვადასხვა საკითხის განხილვის გარდა კომიტეტმა ერთხმად დაადგინა სამკითხველო გაიხსნას განსვენებული მგოსნის **ვაჟა-ფშაველას** სახელზე ერთი კვირის განმავლობაში მოიძებნოს შესაფერისი ბინა, რისთვისაც არჩეულ იქნა კომისია ოთხი კაცისაგან. ყოველ შემთხვევაში კომიტეტი მონდომებულია სამკითხველო გახსნას ორი-სამი კვირის განმავლობაში, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ ყველას, ვინც თანაუგრძნობს ასეთ კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებას და პატივს სცემს **ვაჟა-ფშაველას** სახელს, მოგვცეს დახმარება წიგნებით, მწერალთა სურათებით, ჟურნალ-გაზეთებით და შეძლებისა და გვარად ფულით—სამკითხველოსათვის საჭირო ნივთების შესაძენად. შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება ასეთი მისამართით: Кутаисъ, Старо-Лагерная № 19 учителю Вл. Нацвлишви.

სამზ. წევრი და პასუხის მგებელი

გამგე: **ლადო ბზვანელი.**

მწვანეყვავილის ინტელიგენციის საუურადღებოთ.

ვინ არ იცნობს ქუთაისის ერთს მშვენიერ თაიგულს, ბუნებისაგან უხვათ დასაჩუქრებულს კუთხეს, მწვანეყვავილას! ვინ არ დამტკბარა მისი ხილვით, ვის არ დაწყნარებია აფორიაქებული სული, როცა მის ამწვანებულ გორაკებზე წამოწოლილა და გრილი სიოსთვის გულმკერდი გაუღია! მწვანეყვავილა ქუთაისის თვალი! სახელწოდებაც ისეთი დაურქმევიათ ჩვენს წინაპრებს!.

ეს მშვენიერი კუთხე ისეა მოუწყებული, რომ ერთი სიტყვაც კი არ დაძრულა მის შესახებ გაზეთებში.

რატომ?—უცხო არ გვიცნობს და შინაურები კი ნაცარს ვქექთ, ჩვენი ძმების ჭირი არავითარ სიბრალულს არ იწვევს ჩვენ არსებაში. ან რა მოსაყვანია სიბრალული! განა ყოველი შეგნებული ადამიანი იმას არ ცდილობს, რომ თავის კულტურულათ ჩამორჩენილ კუთხეს შემწეობა აღმოუჩინოს და განათლების კაშკაშა სხივებით სქელი ბურუსი გაარღვიოს! განა ჩვენ, მოსწავლეები, ინტელიგენტები, არ უნდა ვზრუნავდეთ გაუვითარებელ მცხოვრებთა საკეთილდღეოთ! ვინ უნდა უჩვენოს ხალხს, განათლების სიყვარული, მისი მნიშვნელობა, შედეგი და სხვა ყოველივე?

ჩვენ რასაკვირველია, მოსწავლეებმა და, საზოგადოთ, კულტურის მოტრფიალეებმა.

ამას-კი ვერ ვასრულებთ, არც ვცთილობთ-შევასრულოთ.

საერთოდ ყველას სურს მოძმეებს ხელი გაუწოდოს, სათითაოთ-კი არავის. და ისინი, ვინც ხალხის მოწინავე ნაწილათ ითვლებიან, განათლებული პირის სახელს ატარებენ და ხალხის მეგობრობას კი გაურბიან.

ჩვენ მწვანეყვავილის მოსწავლე ახალგაზდობამ განვიზრახეთ სამკითხველოს დაარსება, მაგრამ ჩვენი სურვილი სურვილათ დარჩება, თუ უკეთუ ადგილობრივი მოწინავე პირები მხარს არ მოგცემენ და არ გვითანაგრძნობენ ამ სინპატიურ საქმეში.

ამიტომ საჭიროა, ადგილობრივმა ინტელიგენციამ. მოსწავლების განზრახვას. ხელი შეუწყოს და ეკლესიაზე ყრილობა მოახდინოს ფერიცვალებას მარიამობას და ხალხს გააცნოს სამკითხველოს მნიშვნელობა. სამკალი ბევრია და მომკალი ცოტა.

სამკითხველოს დაარსებაზე სხვებთან ერთად დიდის აღტაცებით სურვილი გამოთქვა მოძღვარმა მამა ნესტორ გიორგაძემ, ბ-მა ფილიპე მგალობლიშვილმა გამგეობაც იკისრა (ამ პირს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ კუთხისათვის: დაასრულა აქაური ეკლესია და დღეს ქუჩების ფაკეთებასა და განათებაზე დაუღალავათ შრომობს, რაზეაც დიდი მადლობის ღირსია) და აღთქმა მოქცა ამ საქმეს მოვავარებთო. ამასთანავე მივმართოთ თხოვნით წ.-კითხვ გამავრც. საზოგადოებას, რომ ამ ჩამორჩენილ კუთხეს-მწვანეყვავილის საოთანადო ყურადღება მიაქციოს და წიგნსაკავ-სამკითხველოს დაარსებაში ხელი გამოგიწოდოს. ჩვენ მოსწავლეები მივმართავთ აგრეთვე მთელ მწვანეყვავილის მცხოვრებლებს, ვისაც კი ცოტაოდენი შეგნება აქვს და ესმის საქმის გარემოება დახმარება აღმოგვიჩინოს ამ საქმეში და რაც შეიძლება მალე ჩვენი განზრახვა დაგვაგვირგვინებიოს.

მწვანეყვავილის მოსწავლეთა მონდობილობით.

ჭირისუფალი.

დაბა-სოფელი.

დ. ზესტაფონი. გამუდმებული ორი თვის წვიმის შემდეგ ძლივს ველარსეთ ჭიზიან დღეებს 1 მკათათვეს შემდეგ. „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო"—ისე დაგვემართა აქაურებს. ომმა ხომ ბევრს აუტირა დედა წელს და ამაზე დაერთო უამინდობა, სიცივე-წვიმა, რის გამოც ნათესი და ვენახი მთლათ გაფუჭდა, ნამეტურ ვენახი. მამასისხლათ ჩარჩკაპრებისაგან ნაყიდი გოგირდ-შაბიამანით ქორწყული ვენახები პირწმინდათ მოისპო, მოსწვა და გაანადგურა მილდიუმ (ჭრაქმა), ასე, რომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ წელს საზედაშე ღვინო არ მოუვათ აქაურებს. რათი გაუძლოს საცოდავმა კაცმა კარზე მომდგარ ათასგვარ გაჭირვებას, თუ ღვინო, ეს ერთად-ერთი მისი ცხოვრების სახსარი, არ მოუვიდა? ვის შესჩივლოს, ცას და დედამიწას? ვინ ისმენს მის აჯას? ვენახში რომ შედიხართ და უკვირდებით გულზე სკდებით, ასე როგორ მოესვა ხელი და ეს მტევნები რამ გამოაქროვო?—შედარებით სხვა წლებთან აქითკენ ამ ჟამად ღვინოს ფასი კი აქვს, მაგრამ სამერმისოთ რომ ცხვირზე მისასმელს აღარ მოეღის კაცი, რაღამ გაუკეთოს გული? თუ ისარგებლა ვინმემ ღვინით წელს, ისევ ვაჭრებმა; მეფართლე და მეწვილმანეებმა დამპალ ჩით-იარდლისა და გოგირდ შაბიამანში იყიდეს ღვინოები და ახლა, იცოცხლეთ ისინი ყიდდენ?! სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ ღვინის ვაჭრობის საქმე ისეთ ნაირადაა დაყენებული აქეთ, რომ სარგებლობა კვლავ ვაჭარს რჩება და ზარალი გამყიდველს. ზარალი როგორაა, როდესაც ვაჭარს მიუძღვის წინ დალალი, რომელიც თავის ენა ბელნიანობით იაფად სცანცლავს მემამულეს ღვინოს ვაჭრის გულის მოსაგებათ; დალალს აძლევს გამყიდველი საპალნეზე მანეთს, ვაჭარი საპალნეზე თითო ჩაფს ტყვილათ ღებულობს, „სასხამს", ამაზედ დაუმატეთ კიდევ საჩუქრად რამდენიმე ჩაფი ღვინო, ჭურჭლის რკინის გზიდან ამოტანა, გარეცხვა, საჭურედამ სადგურამდი ღვინის ჩაზიდვა გამყიდველისაგან და აშკარათ წარმოგიდგებათ „შანტაჟისტობა" ყველაფერში. როდესაც ამას წინათ კლდეეთის საზოგადოებამ იქონია მსჯელობა დღეობა-ქელეხების გადაგდებაზე, იმავე დროს დაისვა საკითხი ასეთ უბრალოდ ზედმეტს ხარჯების გაწევაზე მოვაჭრეზე ღვინის გაყიდვის დროს. საბრალო გლეხები ნამეტან ღვინის მოვაჭრეებიდან გაძარცვაზე თუმცა უარს ამბობდენ, მაგრამ ამ ჩვეულებების მოსპობაზე კი უარს ამბობდენ, ვაი თუ ღვინო აღარ გაიყიდოს. დალალების მოსპობაზე განაჩენი 1908 წელს ჰქონიათ დადგენილი, თუმცა დღემდის მაინც პარპაშობდენ ეს ნერწყვ-მორეულნი ჩარჩები. ამ დღეებში ეს განაჩენი გლეხებმა მაზრის უფროსს მიართვეს სისრულეში მოსაყვანათ. ვნახოთ როგორ მოეღება ბოლო ამ საქმეში უსამართლობას მკვიდრთა შორის. ქელეხ-გიმოტირილ-დღეობების გადაგდებაზე თუმცა შესდგა ამ საზოგადოებაში განაჩენი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია ხალხს თავის დამღუპველ ჩვეულებისათვის გვერდის ავლა, თუმცა, რომ იტყვიან, ღოჯ მოტეხილი კია.

სიმინდის ნაკლულევანება აქეთაც ძრიელაა, რის გამო გაჩნდა აქაც ჩრდილოეთ რუსეთიდან სიმინდი, ზოგი კარგი და ზოგიც უვარგისი. ბ. მაზრის უფროსმა შეადგინა კომისია და მისივე თანდასწრებით გაასინჯია მას სიმინდის ღირსება და ფასი. ზოგან ფუთი 1 მ. 30 კ. იყიდება, ზოგან ნაკლებში; ერთს ადგილას რომ გვარიანი სიმინდი იყო, მეორეგან დამპალი, ასე რომ საქონელს არ ეკმეოდა. სიმინდზე დაწესდა ნიხრი ფუთზე 1 მ. 10 კ. ბევრმა იუკხოვა სიმინდზე ნიხრის დადება და მგონი ნიხრსაც გადააბიჯეს! კაი ხარისხის სიმინდი და სწორ ფასში ბ. სიხარულიძეს აქვს. მასთან სიმინდი 1 მ. 10 კ. ზევით არ ასულა. ამ დღეებში მოელის 35 ვაგონს სიმინდს ძაუგიდან; ეს სიმინდი დარიგდება ხარაგოულსა, ჭიათურასა, შერთულსა და მოლითში. ათი ვაგონი აქვე დარჩება და როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ბ. სიხარულიძეს აზრათ აქვს სიმინდის ფასს ნიხრზე კიდეც დაუწიოს ე. ი. 1 მ. 10 კ. მაგიერად გაყიდოს 1 მ. 5. ეს კი გაძვალტყავებულ ხალხს ბევრს შესძენს და სამადლობელი საქმეც იქნება.

ზესტაფონის წვრილ კრედიტის ამხანაგობას კაი ხანია კაცი ჰყავდა გაგზავნილი რუსეთში სიმინ ის მოსატანათ და პირდებოდენ სიმინდი დღე დღეზე მოგვავა, მხოლოდ ახლა მოვიდა.

ბ. გ—ძელი.

რაჭის ჭირ-ვარამი.

ჩვენდა სავალოლოთ რაჭაზე არაფერი ახალი, არაფერი გულ-გასახარელი არა დაიწერება. სულითა და გულით გინდა, რამე ახალი და უცხო ახარო მკითხველს მეტადრე იმ რაჭის შვილებს, რომლებიც ოთხივ კუთხით არიან გაფანტულნი საიმუშაოდ, გაშორებული წლობით და მეტადაც თავის კერას, თავის ცოლ-შვილს და არა იციან რა, თუ რა ხდება და რა კეთდება რაჭაში.

დიახ, გინდა, რომ ახალი გამონახო, მაგრამ ისევ ის ყოვილმხრივ დაბეჩავებული, უკან ჩამორჩენილი კუთხე თვალ-წინ გიდგია და აღარც კი გინდა რამ დასწერო... რისთვის და ვისთვის უნდა რამე სწერო?

არა ერთხელ დაწერილა აქაურს უგზო-უკვალობაზე, თუ რამდენი კაცი იღუპება მდინარეებში ყოველ გაზაფხულზე უხიდობის გამო, (მაგ. კრიხულა არჩობს ყოველ წლივ სამს—ოთხს და სხვაც ხომ ამისთანა მდინარე ბევრია. წელს კრიხულას არც ველურა ჩამოჯრჩა, არც ასკის წყალი, არც ლუხუნი)...

ვისთვის უნდა გავიმეოროთ, რომ რაჭა ყოვლად ჩამორჩენილი კუთხეა ქუთაისის გუბერნიაში, არც რიგიანი სკოლები, არც ფხიანი და ენერგიით სავსე ჩინოვნიკობა. იცოცხლეთ, აქ ცრუ მორწმუნოება იყოს გავრცელებული; ბბა და ამ პეტრე მოციქულმა, ამა და ამ გამკითხველმა ესა და ეს იქადაგა, ესა და ეს იწინასწარმეტყველა და ასე უნდა მოხდესო.

აქ უკაცობაა ყოველ ფეხის გადადგმაზე. ზაფხულში თუ ნახავთ ორიოდე სტუდენტს და ახალგაზდობას, რომელსაც რამე ეინტერესებოდეს, სამკითხველოს გააღებენ, წარმოდგენებს მართავენ, თორემ, შენს მტერს, აქ მიყუჩებული და მოდუნებელი იყოს ყოველი სულდგმული.

ჩინოვნიკობა აქ ან მთლად ხანში გადასული უნდა იყოს და აღარაფრის უნარი არა ჰქონდეს და ან ყოვლად უვარგისი და გამოუსადეგარი სამსახურში. ქუთაისის გუბერნიაში, არც რიგიანი სკოლები, არც ფხიანი და ენერგიით სავსე ჩინოვნიკობა. იცოცხლეთ, აქ ცრუ მორწმუნოება იყოს გავრცელებული; ბბა და ამ პეტრე მოციქულმა, ამა და ამ გამკითხველმა ესა და ეს იქადაგა, ესა და ეს იწინასწარმეტყველა და ასე უნდა მოხდესო.

აქ უკაცობაა ყოველ ფეხის გადადგმაზე. ზაფხულში თუ ნახავთ ორიოდე სტუდენტს და ახალგაზდობას, რომელსაც რამე ეინტერესებოდეს, სამკითხველოს გააღებენ, წარმოდგენებს მართავენ, თორემ, შენს მტერს, აქ მიყუჩებული და მოდუნებელი იყოს ყოველი სულდგმული.

ჩინოვნიკობა აქ ან მთლად ხანში გადასული უნდა იყოს და აღარაფრის უნარი არა ჰქონდეს და ან ყოვლად უვარგისი და გამოუსადეგარი სამსახურში. ქუთაისის გუბერნიაში, ეს ერთ-ერთი ადგილია, სადაც ჩინოვნიკები ერთ-ერთ ადგილზე ბევრ ხანს ერჩენენ. ეს ერთ-ერთი ადგილია, სადაც ჩინოვნიკები ერთ-ერთ ადგილზე ბევრ ხანს ერჩენენ. ეს ერთ-ერთი ადგილია, სადაც ჩინოვნიკები ერთ-ერთ ადგილზე ბევრ ხანს ერჩენენ. ეს ერთ-ერთი ადგილია, სადაც ჩინოვნიკები ერთ-ერთ ადგილზე ბევრ ხანს ერჩენენ. ეს ერთ-ერთ